

140  
1968

НАУЧНО-ИССЛЕДОВАТЕЛЬСКИЙ ЦЕНТР



З А М Е Т К И 2  
1968



# ჰერმეტიკი ჰერმეტიკი

10.663.

### გ. ბოლოგოვი.

მხატვარის წიგნი  
ფიქციონის სივრცის  
შესახებ ადამიანს  
საუბრობს.

აბოლიტი, ათათახილი სტერტი,  
ტურბინა წიგნის საბჭოთა ჯეპანში  
ფიქციონის ველა კუბიდან, ჩაი გუ-  
რის საფარ ქვეყანის, სადა არ არის  
საბინი და მახური, მდინარი და რა-  
ტაკი, სადა ფიქციონის შინისი, დას-  
წინებისა და კართობის თანხისი სა-  
შუალებს აქტი; ქვეყანაში, სადა ზე-  
შევი ველაზე პრეილფეიტი „ლი-  
ხაი“. ჩამოვინ, ჩაი მოსკომა, წი-  
თელ ზიდაზე შევან ფეტი, თავანი  
სტენ მარადი ბილი მინარე დიდ თე-  
ნისი, მილი მიდლიის შრომლისა  
პელებს, საბჭოთა სახელმწიფოს და  
მისი პრეზიდენტი ძალისა ზე-  
ქმედს, მისი ურბიო პარტიკის  
საფლავი და ზედილი მოვარის მის წი-  
ნაზე.

შესანიშნავი სტრუქტურა უძველესი  
უკანო პარტიკის ზიდაზე სტენი  
მისი.

ფიქციონის ტექნიკის უკანონო,  
იქნის ხელის ზედა დიდი  
ფიქციონი,  
და საბჭოთა დარჩავ კიდეის  
საფიქციონი ზედა —  
დასწინი ზედა.

მისი ჯეპანშიდან ჩამოსული ფიქციონი,  
სადა ზედა კიდეის სტრუქტურის კანტა-  
ლი, სადა ზედა კიდეის არსებობს კლასი-  
კისი მისილი, განსაკუთრებით ადგილი-  
კანტული არის ზედა ჯეპანის ხელ-  
სის თანხმობითი და მისი.

ქვილი, ველა ჩამოსულს ჩიდი  
ამოქმედებს კვილი განმარტა გეგმე-  
მან იქილეთ, რომლებიც ცდილობენ  
იხიონ ჩამოსული, ჩაიად ზედასა-  
ვედ საბჭოთა სინამდვილეს, ამოვინ  
ზედა ზედა იდილიკური მიწისა-  
დმდედა, ზიდი კი — ამარი მტერი.  
მეგობრ ზედა არც ასეა ვეგმინა მისი  
და არც მისი, ზედა ჯეპანისათვის  
ველაზე მისი ურბილი ვეგმინა.  
აქტი მისი და ფიქციონის წილებს კი ზე-  
დი კანტობის ზედა სახელმწიფოს,  
ზედა ხელის.

1917 წლის დიდი იტალიის სო-  
ციალისტური რევოლუციის, რომელიც  
შეშალა და გლეხის კონუნებური სარ-  
ტის ხელმძღვანელობით განმარტდე-  
და, მიღწე მიდლიის ექსპლუატირე-  
ბული და დამარტულ ხელის იდილი ვე-  
ლედა მის სწინადი, რომ იტალიის  
ქვილი იქმნედა მიდწედა და მათი-  
სადა დიდეგმინა განიყვარელების  
განი იდილი არ განკარგუნილი, დიდე  
სოციალისტისა და კონუნისის ეხი  
მარტი ზედა ჩიდი სედეგმინა. მის  
დროს ზედა მინარეის და გარეზე მტერი-  
მისი ქვილილი შეგმნელი იდეები. იდი-  
ლი სტრუქტურისი ექსპლუატირე  
სინამდვილი განკარგობდენ, საბჭოთა ხე-  
ლარეულებს სულ იმ ვარის, ზედა-  
ზედა ეხი იდილი განკარგობენ.

საბჭოთა კავშირის  
საბჭოთა კავშირის  
საბჭოთა კავშირის  
საბჭოთა კავშირის  
**საბჭოთა**  
1963



კომუნისტ-ლენინელების მეთაურობით, დაუნდობლად ანადგურებდნენ რევოლუციის ყველა ჯურის მტრებს.

მრავალი და მრავალი თაობის სხოვნაში სამუდამოდ დარჩება პეტროგრადისა და ცარიუნიის მისადგომებთან გადატანილი ბრძოლები, ვულკანური თვისა და ურალის გათავისუფლება, პეტროგრადის უმაგალითო იერიში, ს. მ. ბუდონის წინამძღოლობით პირველი ცხენოსანი არმიის ლეგენდარული ლაშქრობები, წითელი არმიის სხვა საგმირო საქმეები.

ჩრდილოეთ კავკასიისა და ამიერკავკასიის ხალხები არასოდეს არ დაივიწყებენ სასოლოვანი XI წითელი არმიის მებრძოლებს, მეთაურებსა და პოლიტმუშაკებს გმირობას. როცა აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს მშრომელები აჯანყდნენ თავიანთი მტრების მუსავატელების, დამსწავებისა და მენშევიკების ბატონობის წინააღმდეგ, XI წითელი არმია, ვ. ი. ლენინის მითითებით, დაუყოვნებლივ დაიძრა მათს დასახმარებლად. XI არმიის დახმარებით, არმიის, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ ნაციალ მებრძოლი რევოლუციონერები ს. მ. გიროვი, გ. კ. ორჯონიძე და ა. ი. მიქოიანი, ამიერკავკასიაში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება.

ჩვენი სახელმწიფოს, ხალხისა და არმიის ყველაზე მკაცრი გამოცდა დიდი სამამულო ომი იყო. საბჭოთა ქვეყანა არასოდეს არ ყოფილა ისეთ განსაცდელში, როგორმაც იგი აღმოჩნდა.

საბჭომ ხალხს მიმართა ლენინის მიერ შედგენილი ისტორიული მოწოდებები: „სოციალისტური სამშობლო საფრთხეშია“. ამ მოწოდების საპასუხოდ პეტროგრადში და სხვა ქალებში დაიწყო მოხალისეთა მასობრივი შესვლა წითელი არმიის რიგებში. 23 თებერვალს წითელ პიტრში „სოციალისტური სამშობლოს დაცვის დღე“ გამოცხადდა. იქვე ჩამოყალიბებული რაზმები დაუყოვნებლივ მიემართებოდნენ მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად.

იმავ დღეს, 23 თებერვალს წითელმა არმიამ ფსკოვთან და ნარვასთან გერმანულ ინტერვენტებს სასტიკი დარტყმა აგვიმა.

ჩვენი ნორჩი მებრძობე, თუ ოდესმე მოვიხდათ ფსკოვში ყოფნა, აუცილებლად შეჩერდით სოფელ დიდ ლოპატინისთან და დაათვალიერეთ პატარა გორაკე დადგმული ობელისკი. ობელისკის აუცილ. აქ, 1918 წლის 23 თებერვალს წითელი არმიის რეგულარულმა ნაწილებმა შეაჩერეს პროლეტარული რევოლუციის ქალაქისკენ — ლენინის ქალაქისაკენ წამოსული გერმანიის იმპერიალიზმის ჯარები“.

ყოფილი მეფის სატრაპები, თთორი გენერლები, ადმირალები და შავი ბარონები იუდენი და კრანოვი, კოლჩაკი და სემიონოვი, დენიკინი და ვრანგელი თავს უყირდნენ ოტომბრის მრისხანე ქარის მიერ შორს გადასროლულ ნაძირალებს და მათგან არმიებს ჰქმნიდნენ. ამ არმიებს აიარაღებდნენ, ასევე აკმეგდნენ იმპერიალისტი ბოზობლების ბინძური ფულით და მოსკოვისა და პეტროგრადის დასალაშქრავად გზავდნენ. მათ მხარს უჭერდა უცხოელ ინტერვენტთა არმია და ფლოტი, მაგრამ არაფერს არ შეეძლო გაეტეხა საბჭოთა არმიისა და ფლოტის სწრაფვა გამარჯვებისაკენ. დამშეული, ხშირად ნახევრად შიმშველი წითელი მებრძოლები,



მაგრამ დროს თავისი მოიტანა. უდღეური გერენსკისა და სხვადასხვა შავრაზმელების კონტრრევოლუციური იერიშები ზედიზედ იფუშებოდა. ამერიკის, ინგლისის, გერმანიის, საფრანგეთის, იაპონიისა და სხვა ქვეყნების იმპერიალისტებმა პირი შეგრეს და მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს წინააღმდეგ გაილაშქრეს.

„ყოველგვარ რევოლუციას მხოლოდ მაშინ აქვს ფასი, თუ თავის დაცვა შეუძლია“. — ეს ბრძნული სიტყვები ეკუთვნის ვ. ი. ლენინს.

ამ მითითების თანახმად ჩვენი ხალხი შეჩერდით ადგა რევოლუციის მონაპოვართა დასაცავად. ბრძოლის ორგანიზატორი და სულიწინამდგემელი კომუნისტური პარტია იყო. 1918 წლის 28 იანვარს ლენინმა ხელი მოაწერა დეკრეტს წითელი არმიის შექმნის თაობაზე. ხოლო 2 თებერვალს წითელი ფლოტის შექმნის დეკრეტი გამოქვეყნდა.

სწორედ 1918 წლის თებერვლის დღეებში, როცა კაიზერის გერმანიამ იერიში დაიწყო და უშუალოდ დაემუქრა სოციალისტური რევოლუციის აკვანს — პეტროგრადს, დაიწყო წითელი არმიის ნაწილების გამალეზული ჩამოყალიბება.

პიტლერელთა ურდოების მოულოდნელი თავდასხმის შედეგად. ასეთ პირობებში თაყვანისტურმა პარტიამ ქვეყნის მთელი ეკონომიკა, მთელი წყობა სწრაფად გარდაქმნა საომარ ყაიდაზე. შეიქმნა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი ი. ზ. სტალინის ხელმძღვანელობით. ხალხისა და არმიის მთელი ძალები საბჭოთა მიწაზე გერაგულად შემოჭრილი გერმანელი ფაშისტების გასანადგურებლად იზრძოდნენ.

სოციალისტური სამშობლოს დირსების, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში მკაცრი შემოწმება გაიარა ჩვენმა საზოგადოებრივმა და სახელმწიფო წყობამ, საბჭოთა ხალხების მეგობრობამ და მორალურ-პოლიტიკურმა ერთიანობამ.


დიდი სამამულო ომის წლებში შეიდი მილიონი ადამიანი დაჯილდოვდა საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით. თავგამორჩენილ ნაწილებსა და შენაერთებს, ორდენებით დაჯილდოებასთან ერთად, მიენიჭათ მათ მიერ განთავისუფლებული ქალაქების სახელი და სახელწოდება „ბერადიული“, 11,600 მებრძოლს, პარტიზანსა და იატაკქვეველს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა. მათგან 111-ს ეს პატივი ორჯერ ზედა წილად, ხოლო სახელგანთავისუფლებული საბჭოთა მფრინავები ა. ი. ბაკრიშვილი და ი. ნ. კოვედუბი სამჯერს საბჭოთა კავშირის გმირები გახდნენ.

ომის წლებში დიდი წვლილი გაიღო ქართველმა ხალხმაც. საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით 49,106 ქართველია დაჯილდოებული, 90 ქართველი კი საბჭოთა კავშირის გმირია.

საბჭოთა კავშირის გმირებს შორის ასზე მეტი ეროვნების წარმომადგენელია. მიაგალითად, კავკასიის ფრონტზე საბჭოთა კავშირის გმირობა მოიხვეჭეს ვლადიმერ პეტროვმა, დიმიტრი კარალაშმა, ნიკო გოფიანაშვილმა, კაჟურ მამედოვმა, სამსონ მიკრიტუშოვმა და მრავალმა სხვამ, რომელთაც უმავალითო მამაკობა გამოიჩინეს.

გომუნების საქმიანობა ერთგულება, განაგრძეების რწმენა დაეხმარა საბჭოთა ადამიანებს, არმიისა და ფლოტის მებრძოლებს, გადაელახათ ძლიერ და

ვერგ მტერთან ბრძოლის ყველა სიმწელე, ძირფესვიანად გაენადგურებინათ მოხმდუნნი. ჩვენი სამშობლოს და მისი სახელგანთავისუფლებული ძალების მატანეში ოქროს ასიებით ჩაიწერება მისკოვთან და სტალინგრადთან, ლენინგრადთან, სევასტოპოლთან, კიეფთან



და ოდესის კედლებთან, კურსის რაკელე, ბუკაჩევსკასა და ვენასთან, ბერლინის ასაღებად გამართული ბრძოლები...

საქართველოს სსრ თვითველ მოქალაქეს, მათ შორის შენც, ნორა ჰიონერს, სრული უფლება გაქვს იამყარ, რომ ერთ-ერთი იმთაგანი, რომელმაც ფაშისტურ რაისსტაზე გამარჯვების დროს ააფრიალებს, იყო საბჭოთა კავშირის გმირი მელიტონ ქანთარია.

უფროსი თაობის ჯარისკაცების, სერენატების, ოფიცერებისა და გენერლების რევოლუციურ, შრომითსა და სამხროლო ტრადიციებს წმინდად ინახავს და ამდიდრებს მებრძოლთა ახალი თაობა.


ომარ ჯოხაძე სწავლასა და დისციპლინაში სანიმუშო ჯარისკაცი იყო. როცა გარემოებამ მოითხოვა, მან თავი დასაშინ სიცოცხლე თანამებრძოლი ამხანაგის და სომეხი ბიჭუნას გადარჩენას შესწირა. ჯარისკაცი ნიკოლოზ პიასკორსკი, მსოფლიოში ცნობილი მწერლის ნიკოლოზ ოსტროვსკის თანამემამულე, მოხალისედ წავიდა განთავისუფლებულ ალირში, რომ ამ ქვეყნის ხალხს განდევნილი კოლონიზატორთა ნაყვალევის წყნლაში დახმარებოდა. მან 10,000 ვერაგულად დამალული ნაღმი გაუაგებლა, მაგრამ ბოლოს ერთი ნაღმი აფეთქდა, რამაც მამაცი მებრძოლის სიცოცხლე შეიწირა.

კიდევ ბევრი მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ ჩვენი მემორების, ოქტომბრის რევოლუციის, საშოქალაქო და დიდი სამამულო ომების ვეტერანთა შეილებისა და შეილიშვილების მიერ მშვიდობიან დროს ჩადენილი გმირობისა. ოქტომბრის რევოლუციის გაგლენით,

გერმანიის ფაშისტსა და იაპონიის მილიტარიზმზე ჩვენი ქვეყნისა და საბჭოთა არმიის მიერ მოპოვებული გამარჯვებების, აგრეთვე კონტრისტურ მშენებლობაში მიღწეული წარმატებების მეოხებით, მსოფლიომ მგვეთხდა იცვალა სახე. ჩამოყალიბდა სოციალისტის მსოფლიო სისტემა, აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ბევრმა ქვეყანამ მოიცილა მონობის უღელი. სულ უფრო და უფრო მწვავედმა მუშათა კლასის ბრძოლა კაპიტალისტურ ქვეყნებში, რასაც იმპერიალისტების აღმფიქთება მოსდევს.

ამერიკულ იმპერიალისმს სათავეში უდგანან ყველაზე ბოროტი ძალები, რომელთა აგრესიული მოქმედება დღითიდღე იზრდება. ამერიკელმა იმპერიალისტებმა სოსხლიანი ომი გააჩაღეს ეუტანამელი ხალხის წინააღმდეგ, აწყობენ პროფუკაციებს, ძარცვა-უკუკას ვეყენა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და მთელი არსებით ემზადდებიან ახალი მსოფლიო ომისათვის, რომლის ლახვარი უპირველესად მომართული აქვთ

დენანტის  
ვალდოსხმა  
თვითმფრინავ  
„ან-22“-დ. ნ



საბჭოთა კავშირისა და მისი მოძმე ქვეყნებისაკენ.

ჩვენი პარტია, მისი, ლენინური ცენტრალური კომიტეტი, საბჭოთა მთავრობა ითვალისწინებენ ყველაფერ ამას, ატარებენ მშვიდობის პოლიტიკას და ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ ხალხის შემოქმედებითი შრომა, ნორჩი თაობის სიცოცხლე და ბედნიერება საიმედოდ იყოს დაცული. ყველანაირად მტკიცდება ჩვენი სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობა. ძლიერდება არმია და ფლოტი. ჩვენი შეიარაღებული ძალები აღჭურვილი არიან ისეთი მარადობა და ტექნიკით, რომელთაც შეუძლიათ ადკვეთონ აგრესიის ყოველი ცდა. ჩვენ დიდებული რაკეტული იარაღი, შესანიშნავი ტანკები და თვითმფრინავები, ახალი სასროლი იარაღი და საჰაერო თავდაცვის საუკეთესო საშუალებები მპაქებს.

ჩვენი ჯარების პირადი შემადგენლობა, მათ შორის ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სახმედრო ოლქი, რომელიც ჩვენი სოციალისტური სამშობლოს სამხრეთ საზღვრების სადარაჯოზე დგას, გულდასმით სწავლობს სახმედრო საქმეს და ფხიზლად იცავს ჩვენს სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო საზღვრებს. ჩვენმა სახმედრო ოლქმა, კომუნისტებისა და კომკავშირელების მაგალითებით შთაგონებულმა, თავის მეთაურთა ხელმ-

ძღვანელობით, ოქტომბრის 50 წლისა და საბჭოთა არმიის და სახმედრო-საზღვაო ფლოტის 50 წლის საიუბილეოდ, სოციალისტურ შეჯიბრებებში დიდი წარმატება მოიპოვა.

ბევრი ნაწილი დაჯილდოებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სამახსოვრო დროშებით, აგრეთვე ამიერკავკასიის რესპუბლიკებისა და სახმედრო ოლქის საბჭოს სამახსოვრო დროშებით. მოწინავე ქვეყანოვლებამ რომელსაც მაიორი ვ. გ. კისლევი მეთაურობს, კრისიერ „ავრორას“ სამახსოვრო ვიშკელი მიიღო. აქ მდღავანდება მებრძოლების უნარი და გაცეცობა, რომელნიც საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან არიან მოსულნი. შეიძლება დავასახელოთ ზოგიერთი იმათგანი, ვინც თავი ისახელა სწავლასა და სამასურში, მაგალითად: ი. კოვზინაძე, მ. დვტკევი, ნ. შტივი, გ. აიანი, მ. ნაოშვილი, ა. გაგაშვილი და სხვანი. ამათ მშობლებს, ძმებს, დებსა და ამხანაგებს შეუძლიათ იამაყონ.

აქამდე ჯარისკაცები და სერჟანტები ჯარში სამ წელიწადს მსახურობდნენ. საყოველთაო სამხედრო ვალდებულების ახალი კანონით ეს დრო ორ წლამდე შემცირდა. მებრძოლებმა უფრო გულ-

დასმით დაიწყეს მეცადინეობა, რადგან იციან, რომ ის ცოდნა, რაც სამ წელიწადში უნდა შეეძინათ, ახლა ორ წელიწადში უნდა შეიძინონ.

ახალი კანონი ბევრ რამეს ავალებს წვევამდელ ახალგაზრდობას და ჩვენს სახელუჯან ნორჩ ბიონერებს. საერთოდ, მისწავლებები და ბიონერები ყოველთვის დიდი მეგობრები იყვნენ საბჭოთა არმიისა. ისინი პატყეს სცემენ მის გმირებს, სწავლობენ არმიის ისტორიას, აწყობენ საბრძოლო დიდების საგანგებო ოთახებს, მუშეუშეებს, კუთხეებს. ამ მხრივ დიდი ქების ღირსია თბილისის ნ-4 სკოლის კომკავშირელებისა და პიონერების თაოსნობა. მათ კარგად მოაწყენ დიდების კუთხე და ლამაზადაც გააფორმეს, აქვთ სტენდები: „ჩვენ საბჭოთა ხელისუფლებას ვიცავდით“, „დიდი სამშეულო ომი“, „გმირი კომკავშირელები“. ამ სტენდების შექმნაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს: თინა ზურმანა, ნათელა ხოშტარიაძე, თამარ შლამოვაძე, ლეონიდე თხელაძე და სხვებმა.

ბიონერები ხშირად საბრძოლო დამარებასაც უწევენ მესაზღვრე-მებრძოლებს. ამას თუნდაც ის მოწმობს, რომ ბიონერები ვიქტორ ტატყაშვილი, მანანა წიკლაური და ვალერი ხმაროვი დაჯილდოებული არიან „მესაზღვრის ნორჩი მეგობრის“ ნიშნით.

ბარაქალა ამისთანა ბავშვებს მათ შიგაღლის ყველამ უნდა მიჰბადოს. არმიასა და ფლოტს ნასწავლი, განათლებული ხალხი სჭირდება. ბავშვებო, თქვენი უპირველესი ვალა ისწავლოთ ოთხებზე და ხუთებზე, თანდათანობით შეეშადლოთ მებრძოლის საპატიო დავალების შესასრულებლად. უნდა შეისწავლოთ სამხედრო საქმე, გაეცნოთ საბჭოთა შეიარაღებული ძალების ისტორიას და საბრძოლო ტრადიციებს. თანამედროვე არმიის მებრძოლისათვის აუცილებელია ცოდნა, განათლება, და დისციპლინა. ამას კი სკოლაში უნდა ჩაეყაროს საფუძველი. ვინც სკოლაში კარგად ისწავლის, მოუხმენს და დაუკურნებს თავის მასწავლებლებს, იმას აღარ გაუჭირდება სახელგანთი საბჭოთა არმიის რიგებში სამსახური.

წორიო ბიონერებო, კომუნისტების საქმისათვის საბრძოლველად, ჩვენი დიდი სოციალისტური სამშობლოს დასაცავად იყავით მზად!



კლასიკური თირაკლი

მხატვარი: შ. ხატისთუმიალი.



დოქუმენტური მოთხრობა

მაშინ წითელარმიელი ვიყავი. დიდი სამამულო ომის დასავლეთის ფრონტის ცეცხლის ზაზუნ ვიდექი. შენერთის, რომელსაც მტკვიათურქვეცვლდ ვმსახურობდი, ზამთრის ცხარე შეტევების შემდეგ სისხლისაგან დაცულიმ, აქტიური თავდაცვა ეყავა. შეთხლებული იყო მტრის ძალებიც.

თავდაცვა, მით უფრო აქტიური, ომში საბრძოლო ტაქტიკის ერთ-ერთ მთავარ სახედ ითვლებოდა: ორივე მოწინააღმდეგე მხარე იწყებდა მიწაში ღრმად ჩამარხვას — ჩასანგრებას, ტრანშეებისა და მისასვლელი გზების ამოთხრას, ძელშიწურთა თუ ხანგრძლივი საცეცხლელ წერტების, ბლინდაუებისა თუ მუღმევი სათვალთვადლო პუნქტების აგებას. თოფთან ერთად ამოქმედდებოდა ხოლმე ბარი და ნაჭახი, ხერხი და ურო. იწყებოდა ზღუდების გამაგრება, შენიღბვა, ქვეითთა და არტილერიის განლაგება, განაღმვა და დანაღმვა. დიდი ბრძოლა დიდა შრომით იცვლებოდა, მაგრამ ყველაფერი მაინც შეუწყვეტელი მომოსროლის არასასიამოვნო კომპანემენტით ხდებოდა. მოწინააღმდეგეები ერთიმეორეს მოსვენებას არ აძლევდნენ: ურტყამდა არტილერია, არა ცსრებოდა ქვეითთა თოფ-იარაღი. როგორც თავსხმა წვიმაში რამე საშურ, მოსასწრე საქმეს განაგრძობდნენ კაცი შუა მინდორში, ასე ვმუშაობდით ტყეების წვიმაში: დიდ ფაჯიფუსში იყო მტერიც. ჩვენამდე აღწევდა მათი სამხედრო ტენიკის ვადატან-ვაღმობნის, ზაზიდრების, ავტომანქანების მიმოსვლის შემაზრუნენი ხრჭალი და ხმაური. წამით სჩრუმე რომ ჩამოვარდებოდა, ადამიანთა კანტიკუნტ შეძახილსაც გავიგონებდით ხოლმე.

ასეთ შრომაში გვიოთენდებოდა და გვიღამდებოდა. მაღე საითაც უნდა გაეხედა — მარცხნივ თუ მარცხნივ — ამონათხარი მიწა შავი ლენტივით მოჩანდა. როგორც წყალი ჭეშაში, ისე იყო ჩასული ჭარი მიწაში...

დავბინავდით. თვითეული ჩვენგანი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ამ სიმაკრეებს მტერი ვერ ვაღმობდახვდა, მისი ტყვია-ყუმბარა ვერას დაგვაკლებდა. გვიდელობოდა მიწამ, მიგვიბოზო და მიგვიყვავილა თავისი შვილები. დაიწყო სანგრული ცხოვრება, ძილ-ფხიზლობა, სროლა ორიენტირებით; არემიდაშო გავემშობლიურდა, თვალა სანახავს მიეჩინა და უფრო — ვასაფონეს მიწაყრილის შავი ლენტი ტრანშეებისა და სანგრებისა, უსასრულოდ შორს გაწოლილი, ალბათ იქ თავდებობდა; სადაც სროლა ადარ იყო. მეგონა, რომ თუ ვავეებობდი, ეს მიწისქვეშა ვიწრო გზა ჩემს სოფელშიც მიიყვანდა. სანგრებს შუა ადგილი არ მეგულეობოდა. მთელი ფრონტი ჩასანგრებელი იყო.

საღამოაჟამს, მუღამ მოჩაჩრე, მუღამ ხელკვეითთა უკმაყოფილო, მუღამ რისამე დამწუნებელი მეთაურები ჩამოგვივილიდნენ, მხნეობას, საბრძოლო მზადყოფნას,

თოვ-იარაღს შეგვიმოწმებდნენ, დათქმულ სიტყვას, აღბათ მთელი შენაერთისათვის ერთი რომ იყო, გაგვანდობდნენ და გაუყვებოდნენ ამ მიწაყრილს თანამოიარაღე მეზობლებსაკენ. ამ დათქმული სიტყვით, ამ პაროლით უნდა დაგზავდნოდნენ მომხსვლელს და ბნელ ღამეს მტერი ჩენიანისაგან გაგვერჩია.

ასე მიიზღაწნებოდა დღეები და ღამეები. მოთმინების ფიალა იესებოდა, სანგრული ცხოვრება თავს გვაბერებდა, მუხლის გამართვა გვეწადა, სანგარი კი გვეკრავდა და გვბოჭავდა. მეომრები ლაგამოწული, წინა ფეხებზე ატოტებული რაშებივით ესწრაფოდნენ მიწიდან ამოსვლას, მტერზე შეტევას, ბრძოლას, წინ წასვლას. მხოლოდ იქ, მხოლოდ მტერთან შერკინებაში, მხოლოდ წინ გვეგულებოდა კაცური შუება.

თითქოს ჩვენს გულში ჩამოეხედოს, ჩენი ფიქრით ეფიქროს გენერალს, ერთ მზიან დღეს მთელ ამაღლასთან ერთად რომ ჩამოგვიარა. მწარე სარკასზით დასცინოდა იგი ფაჯისთავსაც, დაგვეცინოდა ჩვენც, ჩვენს ყოფას, დაგვებოქრობდა ზევიდან ეს დაუღვრომელი, მუღამ ბრძოლის შუაგულში მოტრიალე სარდალი, მრავალი ორდენ-მედლებით, ჭიროლიათა ნიშნებით მკერდატერლებული შუახნის კაცი.

— ა, არწივებო, რა გვიჭირს, მყუდროდ ვცხოვრობთ! აქეთ ტუქ, წინ მიწდორი, გვერდით — ნაკადული.. — ჩამოგვახბოდა იგი ტრანშეიში, სროლას არ ებუებოდა. ტუქია რომ ჩაუწივლებდა, თავს განწე მიობრუნებდა, თითქოს ბუკს თავს არიდებოს. ხანაც ჩაიშუბლებდა და ასე განაგრძობდა ტრანშეის თავზე გამკილავ ლაპარაკს თავის ბუხუნა ხმით: — აჲ მშვენიერი ბოსტანი ვაშენდება, ძროხებია მოსაყვანი, მეწველი ძროხები, ვუყაცებო,

მდგომარეობა მოიბტანა, რომ დრომდე, სანამ შევებნას მივიღებდით, სანამ საჭურველს შევფენებდით და ძალღონეს მოვიკრებდით, ასე თავდაცვა გვმართებდა. მაგრამ მართლაც არასახარბილო ყოფაში ვგრძნობდით თავს, რადგან ერთმართა თავდაცვაში რაღაც კვება-მინაზე მორიგებულ სხვის ბიჯს ჰგავს.

მერე სარდალმა ჭოგრიტი მოიმარჯვა, გახურებდა გერმანელთა თავდაცვის ხაზს და დროდადრო გადასძახებდა გვერდით მდგომ ჩვენს ბატალიონის მეთაურს:

— მტერს თუ იცნობ, კაპიტანო, თუ იცი, ვინ ჰყავს, რა აქვს, რას აკეთებს, რას აპირებს! — საქმი, ცხადია, დაზვერვასა და თვალთვალს შეეხებოდა. — დღე და ღამე უნდა სწავლობდე მოწინააღმდეგეს, თუ გინდა მასზე ძლიერი იყო... სადა გეავს დაყენებული საიდუმლო. — განაგრძობდა სარდალი, — მტრის მოძრაობისა და დისლოკაციისა რა ცნობები მოაქვს მას.

კაპიტანმა მხარზე დააკიდებული პლანშეტი წინ გადმოიტანა, მერე ზეით ასწია და სარდალს ფანჭრის წვერით რუკაზე შემოუხაზა ადგილი, სადაც ბატალიონს საიდუმლო ან, როგორც ჩვენში იტყვიან, საგუშაგო ექნება.

სარდალმა კიდევ ბევრი რამ სხვაც იკითხა, მიგვიითთა, დავარბავა, გავსწავლა, და კეთილი სურვილებით დაგვემშვიდობა.

სალაშოვდებოდა. უნდა გვევახშმა და მორიგი სადღე-ღამისო განწესი მოგვეღო.

აი, ამ სადღეღამისო განწესმა მე ერთი შემთხვევა დამახსოვს, რომელიც არასოდეს არ ამოიშლებია ჩემი გულოდან.

ოშში რაღას აღარ ნახავს და გაიგონებს ადამიანი



ვეწვლით და ვხვლიობთ თბილი რძე, ვეფხვებო! გავაშენოთ ჭოხები, გავაჩაღოთ ციცილები, ბიჭებს შევრთოთ ცოლები, არწივებო, ვუყაცებო..

ბოლო აღარ უჩანდა გამკილავ სიტყვებს, ზედ გულზე გვეტალაშუნებოდა მათრახივით მწარე სიტყვები და, დარცხვენლიანი, თავჩაღუნული ვუსმენდით ლეგენდარულ სარდალს, თითქოსდა ჩვენი ბრალი ყოფილიყო, რომ ვიდექით. ეს სარდალმაც იცოდა, რომ თავდაცვა

და ამიტომაც კვემოთ მოხსრობილი, შესაძლოა, უბრალო ამბად ჩამეთავლა, რომ იგი დაკავშირებული არ ყოფილიყო.. მაგრამ დაე თქვენ თვითონ განსაქეთ!

ახალი განწესით მე სადღეღამისო, ენე იგი საგუშაგოზე გავტლა შემხვდა ჩემს მორეგ ნომერ მეთყვია-მფრტკვევითან ერთად. ჩვენს ორ ჩვენს თანამოიარაღს ვცვლიდით.

ჩენი საიდუმლო ნეტარალური ზონის წინა მხარეც,

პატარა შერეული ტყის პირას იყო ჩასანგრებული, პირი მტრისაკენ ჰქონდა, საგულდაგულოდ შენიღბული იყო, ბუჩქნაირი ვერ გაარჩევდა. გერმანელების თავდაცვის ხაზს ორასიოდე ნახიჯი გვაშორებდა, ჩვენებისას — ბევრად მეტი. თოფისა და ტყვიამრტყევის ლუღებიც კი ბალახებითა და ფოთლებით გვერსოვდა შეფუთული. თოფსა და ტყვიამრტყევს ვამბობ, თორემ გასროლის ნება ვისა გვექონდა ჩვენი მოვალეობა სხვა რამ იყო: მტერზე ფეხლოვადი. და თუ რამეს ისეთს შევამჩნევდით იმათს მხარეს, უნდა გვეცნობებინა ჩვენიანებისათვის, რომლებმაც ჩვენგანი უკან უნდა გამოსხებულიყო და ამაზე მიეტანა ჩვენი სარდლობისათვის. მოწინააღმდეგის მოძრაობის ყოველ საგულისხმო და მნიშვნელოვან დეტალს რეულოში ვინიშნავდით ან ებისომებდით.



ეს უცნაური სამსახური ამკრად განსაკუთრებულ საგონებელში მაგდებდა, რადგან იმათ, ვინც შეეცვალათ, გვეთხრეს, ადერ, წინ, ჩვენს ხელმარტყენად არცისხე რომ დგას, აი იქ ადამიანის სილუეტები შევინწყეთ, რომელიც გერმანელთა მხრიდან გასროლისასვე გაჰქარა, მაგრამ კვლავ წამოიწია და გამოიქცაო, თავლი გვიბრათ და, მოკლული თუ არ არის, თუმცა სიზნელია, მოძრაობას მაინც შევინწყათ.

სროლას რომ ყურთასენა ჰქონდა წადებული, თავლიც ისე ვეღარა სტრიდა. ორივეს მზერა იმ არყისხისკენ გვექონდა მიპყრობილი. მოქანავე ჩრდილი შევინწყეთ: „ბუჩქია, ნიავე ჰქანაობს! — თქვა თანამეიარაღემ, — ნუთუ ეს მოჩვენება ადამიანის სილუეტად?“

„ბუჩქი ბუჩქია, მაგრამ ეს რაღაა?!... — მივუთითე ამხანაგს ჩრდილზე, რომელიც მალე ჩვენგან ხელმარტყენად ერთი ბუჩქიდან მეორეს გადავიყო. მოძრაი შავი წერტილი ჩვენს საიდუმლო სათვალთვალს სულ უფრო და უფრო შორდებოდა, ჩვენი თავდაცვის ხაზისაკენ მიიწევდა, მერე კვლავ გაქრდა და ჩვენი თვალს დიდხანს უძლური იყო რამე გავჩრია. ერთ წერტილზე მიჩერებულებს თავლი უფრო გვებუჭებოდა, მაგრამ თავს ძალას ვატანდით, რომ ის საიდუმლო წერტილი აღარსად დაგვეპარყო. და თავლათებდით.

ამ არემარემო შინაურ ცხოველთაგან დიდხანია არაფერი გვენახა. ნადირს ხომ ამ ორომტრიალსა და სროლის კავადოთაში აბა რაღა ვაპუკუნებდა! მაშ რა იყო ის ერთი ლანდი, ხან მოძრაი, ხანაც გაჩინდებული, რა არსება იყო ის ამ საყვილის ვილზე? — ეს საგონებელში გვაგდებდა.

ეს მოძრაი შავი ლანდიცა და გერმანელთა ცეცხლიც, რომელიც სულ უფრო წინ და წინ გადაჰქონდათ, თითქოს იმ ლანდს გვას უკავადენო, საიდუმლოებით იყო მოცული. ამ შეგვეძლო სხვანაირად გვეფიქრა, — ფაშისტი მიიპარებოდა და ჩვენების განლაგებაში შეტერას ლამობდა, თანაც, ვინ იცის რა დავალება ჰქონდა გასროლა ჩვენი საგუშავოს გაცემის ნიშნავდა. სხვა გზა არა გვექონდა, ერთ-ერთი ჩვენთაგანი ტყვიამრტყევიან უნდა დარჩენილიყო, საგუშავოზე მტრის თვალთვალი უნდა განეგრძო, მეორე კი იმ საიდუმლო შავი ლანდის კვლავად უნდა გახიზნულიყო და შეეხერო, ან ხელჩართულ ბრძოლაში ცვი იარაღით მოესპო იგი (ჭარისკაცია გულის სიღრმეში მუდამ ინახავს იმედს, რომ თავად არ იქნება მოსპობილი).

მეორე ამოცანის შესრულება მე მხვდა წილად. ორიოდ ბორცი ვადავლახე და ბუჩქნარი უკან დარჩა. საიდუმლო შავი წერტილი კი მიიწეეს. დროდარო წამოდგამა მიწეეს, რომ ცოტ-ცოტა გავიზინო და მიყუბლოვდეთ, რათა ის მოძრაი წერტილი თავლს არ მიეფაროს. სინტერესია, რა იარაღი აქვს მას — ავტო-



მატი? გრანატი? რევოლვერი? ან იქნებ ერთიც, მეორეცა და მესამეც! მე მხოლოდ ერთი „ლომონა“ და სამხა-  
ზიანი შუახანა მაქვს, 1908 წლის ნიშუხისა. დასწყევლოს  
დღმერთმა, საიდან შემხვდა!.. უპირველესად, სწრაფი უნ-  
და ვიყო და შეუმჩნეველი!

საწვიმარ მოსახსნამ ზონარი შევხსენი და გავშალე,  
თოფი ხიშტი წვაპირე და ქაპარტი გავირჭვე. გადა-  
წვებთილება მიღებულე მაქვს: ჭურვის ერთი გასკდომი  
და... მზაურთი ვიხარებლებ და მოძრავ ლანდს ზედ გა-  
დავევლები, მოსახსნამ ვადავახურავ, მთელი ძალით და-  
ვაწვები და გავგუდავ. მერე იარაღსაც ავაცლი...

ნიტრალური ზონის საქმით მანძილი გავლილი  
გვაქვს. ახლა უკვე მეც და ისიც ორზხირე ცეცხლში ვექ-  
ცითო. უთუოდ ჩვენიანების წინა ხაზიდან შემჩრეულები  
ვართ, გვირტყამენ. უკვე საუთური ცეცხლის ქვეშაც  
ვყვები — მტერიც მესვრის და მოყვარეც. გონიერი არ-  
სების შიშის გრძნობამ და ადამიანურმა სისუსტემ თა-  
ვისი გოტანა — შორი მანძილიდან მოვისჩქე მტრის ძა-  
ლა და შევძახე:

„სდემ! პაროლი გესვრი!“

მერღელ მივხვდი, რომ ეს ძახილი ყელს ზემოთ არ  
ამოსულა და გულშივე ჩამიხშვია. მოძრავი ლანდის დუ-  
მილიც ამახ მიდასტურებდა. ახლა არ მახსოვს, რა სის-  
წრაფით გადავხტი, რა სწრაფად დავახტი საიღუმლო  
კაცს, მოსახსნამ გადავახურე და მთელი ძალით დავაწეე.  
ახლა კი შევძახე იარაღი არ იხმარო, თორემ მოკლავ-  
მეთქი.

ჩემი ეს არაადამიანური ხმა და ქვეშმოქცეუ-  
ლის რაღაც გაურკვეველი სიტყვები ორზხირემა  
სროლის ხმამ დაფარა, ორმა ჭურვმა ზედ ჩვენს  
ახლოს დაიბერტყა სიკვდილის კალთა და ლითონის  
ნამსხვრევებმაც ზედ თავზე გადაგვიფილა. მე უფ-  
რო ძალღმად შემოვაქდე ხელი ჩემს ტყვის და ზედ  
დავეყარი. ახლა ეს რომ მაგონდება, სიყვარულისა  
და სიზარალულის ძალით უფრო ვეკონებოდი სიკ-  
ვდილის წინაზე ჩემს ბედში მყოფს, ვიდრე სიძულ-  
ვილისა.

— გამოშვით, ბატონო სალდათო, ბატონო ოფი-  
ცერო, არ ციცი ვინა ხართ. მე მათხვარი ლონია  
ვარ. ბიკოვო ჩემი სოფელი. გზა დამებნა, გამოშ-  
ვით, ბატონო... — გამოაღწია სროლის მიყვარების-  
თანავე მოსახსნამი ვახვეულის მიღეულმა ხმამ. და  
მერე ვისამ?!  
ახლა მივხვდი, რომ თავათ პატარა ტანისამ  
და სუსტმა რაღაც საოცრად უსუსურ სხეულად  
ვიგრძენი ის, ვისაც მთელი ჩემი ძალით ვაწეე და  
ვგუდავდი. და ახლა ბიჭუნას ამ უმწერ ხმამ შინა-  
განად სირცხვილშიც ჩამაგდო. სიფრთხილის  
გრძნობა მაინც არ დამიპარგავს და მოსახსნამი ნე-  
ლა შევუყავი ხელი, რათა გამეგო რის მქონებელი  
იყო, რა იარაღისა...

— გამოშვით, ბატონო სამხედროც, მე თქვენთან  
ვარ!... — კვლავ ამომამხა უმწერო ხმით...

ჩემთვის უკვე ნათელი იყო, რომ ბიჭუნას გერგონელი  
ვეგონე. სხვას იგი ვერაფერს წარმოიდგენდა — ნიტრა-  
ლური ზონის პიტტირელთა მხარეს ასე ვინ უნდა მო-  
პქეოდა.

მაგრამ ეს საოცარი შემთხვევა მეც საგონებელში მაგ-  
დებდა, მტერთან მქონდა საქმე თუ მოკეთესთან?

— მე ბატონი სალდათი კი არა ვარ, წითელარმიელი  
ვარ. მითხარი, საიდან მოდიხარ და საით გიღვეს გზა-  
მეთქი, — ვუთხარი.

ბიჭუნა პასუხს აუკვნებდა. ვატყობდი, ორი სამყაროს  
ამ მიჯნაზე ისიც საგონებელში იყო ჩავარდნილი: ვინ  
იყო, ვინც იგი ტყვედ ჰქმნა — ფაშისტის თუ კომუნისტის?  
ამახობაში ყველა ხიფათზე მეთი ხიფათი გვატყდ-  
ბოდა თავს, — ნათდებოდა. მშ! ადამიანი მუღან ესწრაფ-  
ვის გათენებას, ჩვენ ორნი კი ამქერად უნდა მოვირდე-  
ბოდით ბუნების ამ უკეთილშობილეს მოვლენას.

ბიჭუნას ხელი ვუშვი, მოსახსნამ მოვაცილე, რადგან  
ვხედავდი, რომ არავითარი იარაღი არა ჰქონდა. მისი  
იარაღი, როგორც მერე დავინახავთ, გული იყო, ყოველ  
წუთს მზად რომ ჰქონია სამშობლოს სამსხვრებლოზე  
მისატანად.

პატარა ტყვეს უბრძანე, ისევე გახოხებულიყო წინ,  
როგორც აქამდე. მეც ასევე ზოხვითი უკან მივეყვი.

მთელი ამ ორთაბრძოლის დროს ორივე მხრიდან  
სროლა ისმობდა და ჩვენც ყველა ზერს ვხმარობდით თა-  
ვის დასაცავად.



...ჩემმა პაროლმა: (იმ დღე-ღამის პაროლი „ვარსკვლავი“ იყო) გასტრა, და ორივემ უნებმალა ჩავაღწიეთ ჩვენაინების სანგრებში.

ცხადია, ჩვენი გამოჩენა დიდი მოვლენა იყო. ეს ამბავი ელვის სისწრაფით მოედო თავდაცვის ხალხს. ბატალიონის მეთაურის შტაბში შეთქმული სარდლობა მოვიდა. ახლად ვაკვირდები ჩემს ნაღვალს: ჩალისფერთმინია, გამხდარი, ათასგან დაკერებული შავი ხალათი აცვია, უქამროა, შარვალი დაგლეჯია, ლაფნის ქალმანები წამოუცვამს. ნამდვილ ტყის შვილს ჰგავს. ჩერებისგან ამოკერილი წვირიანი ჩანთა ჭვარდიანად გადაეკიდნა.

— აბა, მამაცო ბიჭო, გვიამბე, საიდან მოსულხარ, რა გინახავს, — დაუვავებით მიმართა მეთაურმა და მხარზე ხელი მოუთათუნა.

ბიჭუნა ჭერ კიდეც კანკალებდა. ასევე ცახცახით გადმოსწია წინ ჩანთა, იქიდან ამოიღო და მეთაურს წინ დაუდო მაგიდაზე ყუვისფერი, მშხინავი პლანშეტი.

შემდგმ რაც ამოაღაგა — ორიოდ კარტოფილი, ერთი ნატეხი პური, გაშვებულ ალუმინის კოვზი, წატეხილი ფანჯარი, — აღარ იმყრობდა არავის ყურადღებას, რადგან ყველანი იმ პლანშეტს შემოებვივნენ. მასში რუკები, ფოტოსურათები, წერილები აღმოჩნდა. როგორც მერე გაიფიქრეს, ეს იმის მაუწყებელი დოკუმენტები იყო, რომ დამდგ საღამოს გერმანელთა ძირითადი ნაწილი თავდაცვის სხვა უბანზე იქნებოდა გადასრული. ამას ბიჭუნაც ადასტურებდა თავისი დაკვირვებით.

მტრის შესუსტებულ ფლანგზე ჩვენების შეტევას აღარაფერი აკავებდა, იგი წარმატებით განხორციელდა მესამე დღეზე.

ფრონტის ზაჩის უშიშარი გამომძლახველი ბიჭუნა ამ შეტევისას პოლისის შტაბის სამმართველოს მიჰყვებოდა იმ ტანსაცმლით კი არა, რომლითაც მოვიყვანე, არამედ კობტად მორგებული სამხედრო ფორმით, უყვე პოლისის შვილობილი!

ვინ იყო მაინც იგი?

მას შედეგა, რაც მამა პარტიზანულ ბრძოლებში ჩაბმულა, ხოლო დედა ფაშისტებს მოუკლავთ, ათი-თორმეტი წლის ღონია ნახევრად გადაბუგულ სოფელში დარჩენილა უთისტომოდ. ეკვშიუტანელი პატარა მანწნალობისაივის ღია ყოფილა გადარჩენილი ორიოდ ქიხის და, როგორც, თვით გერმანელთა ბლინდებების კარიც.

ამით უსარგებლია, დაძინებული ოფიცის ბლინდებიდან ის პლანშეტი გაუტაცავდა, პარტიზანებამდე გზის გაკვლევის იმედი რომ არა ჰქონია, გეზი ჩვენების განლაგებისაკენ აუღია იმ ბნელი დამით.

მე ჩავიჭრე მაშინ მისი სახელი და გვარი: ლეონიდ გორბუნოვი.

ერთხელ, ამ რამდენიმე ხნის წინათ, სამხედრო პრესაში თვალდ მოვკარი ნაცნობ სახელსა და გვარს. მისი ბიოგრაფიადან ბევრი რამ მენიშნა. „ნუთუ ის არის?“ — გამგონებდა თავში და არ დავავიწყე წერილის მიწერა.

იმან, ვისაც წერილი მივჭრე, დაკამაყფილა ჩემს ცნობისმოყვარეობა და მოკონება დამიდასტურა.

დაიპა, ლეონიდ გორბუნოვი ოფიცერი გამხდარა.

# წითელ- წითლურად



3. იანვარი,  
კიბიტინი

თ

ბილისში, პლენანოვის პროსპექტზე ერთი და-  
და, კვითაღმდეგელო ძველი სახლი დგას. მისი ვიწროფანჯრებიანი ფსაველი ხანდაზმულ,  
დიდ ქაღრბს დაუღარავს.

თუ ნაბიჯს შეანელებთ დარკინის დიდ ჭიშკართან  
წითელ მარმარილოს დაფზე წარწერას ამოკითხავთ,  
გაოგებთ, რომ ამ შენობაში თბილისის 26 კომისარის სა-  
ხელობის წითელდროშოვანი საარტილერიო სასწავ-  
ლებელია მოთავსებული.

თბილისის ეს საარტილერიო სკოლა სამჭოთა სა-  
ქართველოს ერთ-ერთი პირველი სამხედრო სასწავლე-  
ბელია, ის სულ სამი წლით არის უმცროსი ოქტომბრის  
რეოლუციოზე.

ამ თვეში სამჭოთა კავშირის შეიარაღებული ძა-  
ლების სახელოვან იუბილეს — 50 წლისთავს ვეზივობთ.  
თბილისის საარტილერიო სასწავლებლის ისტორია სა-  
მჭოთა სამხედრო ისტორიის განუყოფელი ნაწილია.  
ჩვენს არმიასთან ერთად ეს სასწავლებელიც იწრითო-  
ბოდა.

უყვე ორობოცახუთი წელია, რაც ამ სკოლის აღ-  
ზრდლები ავებენ ჩვენს საოფიცრო კორპუსს და ბე-  
რი იმთავანი ცნობილი სამხედრო პირი გახდა, მაგალი-  
თად: გენერალ-პოლკოვნიკი ე. ნ. ლუკაშიძე, გენერალ-  
საბანუო ჯარების მარშალი ა. ხ. შაბაჯიანი, გენერალ-  
ლეიტენანტი გ. ი. ჭანჭავაძე, გენერალ-მაიორი ლ. ი.  
ვაგიზი და სხვანი.

ეს საარტილერიო სასწავლებელი შეფობას უწყევს



კურსანტი მეთაურობაზე

თბილისის მე-9, 33-ე და სხვა საშუალო სკოლებს, ამ სკოლების მოსწავლეები ზშირი სტუმრები არიან სასწავლებლის მუზეუმისა. მოსწავლეებმა მუზეუმში ბევრი საინტერესო ექსპონატი ნახეს. ალბათ იმასაც მოაქციეს ყურადღება, რომ თბილისის საარტილერიო სასწავლებლის საპატიო კურსანტები ყოფილან მგზნებარე რევოლუციონერი-ლენინელი მიხა ცხაკაია, სამოქალაქო ომის ლეგენდარული გმირი იან ფაბრიციუსი და გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და თავის დროზე კომინტერნის აღმასრულებელი კომიტეტის წევრი ამხანაგი ოტომარ გემე.

ამ სასწავლებლის კურსდამთავრებულთაგან 28 კაცი საბჭოთა კავშირის გმირი გახდა. მათ შორის: ჯავშანაძანკო ჯარების მარშალი ა. ბაბაჯანიანი, გენერალ-ლეიტენანტი ვ. ჯანჭღვა, გენერალ-მაიორი ლ. ვაგიანი, პოლკოვნიკები: ა. პირმისაშვილი და გ. ბილანიშვილი, ლეიტენანტები: ს. ოგანოვი და ვ. ხორაზია.

ამ სასწავლებლის გაზრდილები დიდი სამამულო ომის დროს რომელ ფრონტზე აღარ იბრძოდნენ: მოსკოვთან, სტალინგრადთან, კავკასიის მისადგომებთან, კარპატებში. მათ იერიში მიიტანეს კენიგსბერგზე, ვენაზე, ბერლინზე...

„ქვემეხებთან დავიხოცებით და უკან არ დავიხევთ“. — ასეთი იყო მათი დევიზი.

სასწავლებლის მუზეუმში სათუთად ინახება ბლოკოტის ერთი პატარა ფურცელი, რომელიც ლეიტენანტ ა. ვ. კოსტინს ეკუთვნის. იქ ფანქრით სწერია:

„მძიმედ ვარ დაქრილი. სისხლი თქრილით მომდის. სანამ პირში სული მიღვას, ბრძოლის ველს არ დავტოვებ. 6. 9. 43. ფშისტები შეეაჩრეთ“.

ფურცლის კიდევები მამაცი არტილერისტის სისხლით არის მოსვერილი.

ლეიტენანტი ვ. ხორაზია ხარკოვის ახლოს, სოფელ

ვესელოვსთან დაცვა. ფაშისტური ტანკების შენაერთი იმ დღეზიონის პოზიციებისაკენ გაემართა, რომელსაც ლეიტენანტი ხორაზია მეთაურობდა. ეს ბრძოლა უთანასწორო იყო, მაგრამ ჩვენები თავგანწირვით იბრძოდნენ. მალე ჰიტლერელთა ოცი მანქანა ცეცხლში გაეხვია და დანარჩენებმაც იკადრეს ზურგის შექცევა. ცოტა ხანს სული მოითქვს და დაჯავშნულმა ტანკებმა ისევ შემოუტეეს ბატარეას. ცუდად იყო საქმე! ქვემეხების ნახევარზე მეტი მწყობრიდან გამოვიდა, მებრძოლებიც შეცოტადნენ. ლეიტენანტი ხორაზია თვითონ დადგა ქვემეხთან. სწორედ ამ ქვემეხთან დაიღუბა მტრის სიძულვილითი გაშმაგებული მამაცი მებრძოლი.

თბილისის საარტილერიო სასწავლებლის აღზრდილების საგმირო საქმეთა ჩამოთვლას რა ქალაქი ეყოფა! ოც წელიწადზე მეტმა დრომ გაიარა. ამ ხნის მანძილზე ბევრი რამ შეიცვალა დედამიწის ზურგზე. ჩვენი ქვეყანა ერთი-ორად გაძლიერდა, მაგრამ შეიარაღებული თავდასხმის საშიშროება მაინც არის, ამიტომ ეს სასწავლებელი ყოველწლიურად ოფიცერ-არტილერიების ახალ-ახალ კადრებს უშვებს და

თან ახალ შევსებას იღებს. მოდიან სკოლადამთავრებული ჰაბუკები — მუშები, ტრაქტორისტები. ამ ახალგაზრდებს სამხედრო რომანტიკა იტაცებს და მათი სანუკავარი ოცნებაა გახდნენ სამშობლოს ღირსეული მცველები. მათ შორის, ვინც წლელს პირველად ჩაიცვა კურსანტის ფორმა, შთამომავლობითი არტილერიისტებიც არიან. თბილისელი მიხეილ ამირხანოვის პაპამ ჯერ კიდევ 1924 წელს დაამთავრა ეს სასწავლებელი. ბათუმელების — ვლადიმერ მოწერელიას და ვალერი პეტროვის მამები ფაშისტთან ბრძოლის წლებში მრისხანე „ომის ღმერთით“ მოქმედებდნენ. ასე ეხაზდნენ მაშინ არტილერიას.

საარტილერიო სასწავლებელში კურსანტები, იარაღის გარდა, მათემატიკას, ელემენტარტექნიკასა და რადიოტექნიკას, ტექნიკურ ხაზვას, მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიას, სამხედრო მომზადებას და სხვა საგნებსაც სწავლობენ, ისინი ყოველმხრივ მომზადებულნი და კულტურული ოფიცრები გამოდიან. სწორედ ასეთი ახალი ძალა სჭირდება დღეს ჩვენს არმიას. რაც მთავარია, ისინი მამაცი მეთაურები და მგზნებარე პატრიოტები იქნებიან და, თუ საჭირო გახდება, სიკაცულესაც არ დაიშურებენ სამშობლოსათვის.

სასწავლებლის  
ახიტილერიების  
შეხვედრა  
მეთერთმეტე წილილი  
არმიის მწვერავ  
ა. ბეგაშვილიან.



# ქ ე ბ ლ ე ბ ა

თიბურავ ჯანგალაშვილი

3. ზნაქობაში,  
უფროსი ლეტენანტი.

ბრძენია ბუნება,  
კაციშვილის  
გრანტი მისცა და უთხრა:  
— სიკვდილი არ არის საშიში,  
უკვდავი სიცოცხლის სუნთქვა-  
იბრძოლე,  
იზრომე,  
შეპქმენი,  
კაცურად იცოცხლე ქვეყნად, —  
იქნები მარადის მზებრძელი,  
იღვები დიდების ძეგლად.  
მაშ გასწი და კიდით კიდემდის  
გაშაღე არწივის ფრთები!  
ვით მიწამ თავისი დიდების  
დიდ ძეგლად აღმართა მთები, —  
აბა, ეს გრანტი!  
ძეგლებად  
გათალღე, დაიდაგი მკვიდრად,  
სიცოცხლე მანამდის გუქნება,  
მიწას მზე დანათის ვიდრე.

... და დგანან მამულში ძეგლები  
მამულის გმირთა და ბრძენთა;  
— მგონებო,  
მხატვრებო,  
მხედრებო,  
დიდებაც, მადლობაც თქვენდა!  
უსიტყვოდ გვერდს როგორ  
აგივლით,  
ვარ თქვენი მოღმგის და ჯიშის!  
კრთის ჩემი სიმღერის ყვეაილი  
თქვენი უკვდავების ჩრდილში.  
უკვდავნი ქვეუღბართ ძეგლებად,  
გრძელდება  
სიცოცხლე დიდი,  
მეგრდს საუკუნენი გებლებათ  
და ხედებით ღიმილით მშვიდით.  
მიწას სწავას ვარდების ალმური,  
მზემ სხივას გვირგვინი შეკრა  
და ძეგლებმრავალი მამული  
დგას ცაშდე აზიდულ ძეგლად.

„თუ მოგიწოდებს პარტია,  
თუ მოგთხოვს ხალხი, ყმაწვილო,  
თუ დავაგალებს მამული,  
იყავ მზად თავიც გასწირო!“

რომელ პიონერს არ აუჩქოროლებს  
გულს ეს სტრიქონები! ბელა ურთ-  
ქმელიძემ და ნეველი ზურციძემაც  
ეს სტროფი სწორედ იმიტომ აიღეს  
თავიანთ პიონერულ ორგანიზაციაში  
პასუხსავედ დავალებათა ინდივიდუ-  
ალური ფურცლები დევიზად, რომ,  
როცა პიონერი რაიმე დავალებას მი-  
იღებს, მუდამ ახსოვდეს რაოდენ პა-  
სუხისმგებელია იგი პარტიის, ხალ-  
ხის, საშობლოს წინაშე, ახსოვდეს  
და ყოველთვის ეცადოს დავალება  
ზუსტად და თავის დროზე, ესე იგი  
მხედრულად შეასრულოს.

მხედრულად! რა დიდი აზრია ამ  
ერთ სიტყვაში! ნეველი ამ ცოტა  
ხნის წინათ თვითონ იყო ჯარისკაცი  
და კარგად იცის, რომ დავალების  
მხედრულად შესრულება უბრალო  
საქმე როდია. იცის ეს ბელაძე —  
საშობლოსათვის ბრძოლაში და-  
ლუბული გენერლის ქალიშვილია. ნე-  
ველისთვისაც და ბელასთვისაც ერთ-  
ნაირად ძვირფასია ჩვენი ხალხის,  
ჩვენი შეიარაღებული ძალების სა-  
ბრძოლო ტრადიციები. და ისინიც  
თავიანთ პიონერებს პატირობებოდ,  
საყვარელი საშობლოს ბედნიერე-  
ბისათვის თავდადებულ მებრძოლე-  
ბად ზრდიან.

ბელას და ნეველის ამ კეთილშო-  
ბილურ საქმეში ჩინებული თანაშემ-  
წილები ჰყავთ. ეს თანაშემწილები —  
ჯარისკაცები არიან. როცა ბე-  
ლას ვითაზე, შედგები რა დახმარე-  
ბას გიწვევენ-მეთქი, მან პიონერთა  
ოთახში მომიწვია და ლამაზად გა-  
ფრთხილებულ სტენდზე მიმიოთთა, აი,  
მათი დახმარებაო. შემდეგ სკოლის

# ს ა ქ ა რ თ ე ე ლ ო

ნენე კერასელიძე

ლაკვარდ-ლალო, ზურმუხტ-ლალო,  
საქართველო, ქვეყნის თვალო;  
მთებო, მთებო ყირიზიხისა,  
და მინდვრებო პირიზიხისა;  
თეთრო ოქრო, მწვანე ოქროვ;  
ვაზო, ვაზო ოკრო-ბოკრო:  
ჩემო მზეო, მზეთამზეო,  
გარძია და ზედაზენი;

ჩემო ტყეო, ჩემო ველო,  
სულ სიმღერით დასავლელო;  
ციხე-კოშკო დაუთვლელო,  
ნარბეგო და ძველისძველო;  
რუსთაველის დედა მიწავ,  
ლომჯირრების დედა მიწავ, —  
მზის თვალების გასახელო,  
როგორ მინდა გასახელო!



# გზები სახალხო მებრძონი



მწვრთნელი სახე  
„ზარნიცა“ თამაშის  
დროს.

საბრძოლო დიდების ოთახი დამთავრებულია, რომლის მოსართავადაც ბევრი უშრომით ჯარისკაცებს, ბელამ მიაბზო, თუ რა სიხარულით ხელებიან პიონერები თავიანთ მეგობარ ჯარისკაცებს, როცა ისინი მათს შეკრებებზე, თემატურ სილამოებდა და სხვადასხვა შეხვედრებზე მოდიან.

ერთხელ პიონერებმა იმ ადამიანთა მოძებნა გადაწყვიტეს, ვინც მათი სკოლა 1941 წელს დაამთავრა. ჯარისკაცები თავიანთ ნორჩ მეგობრებს ამაშიც დაეხმარნენ: პიონერებლმძღვანელთან ერთად მისამართები გაიგეს, ფაშისტებთან ბრძოლაში დაეკმულთ თავდასახვლი შეისწავლეს, შინმოუსვლელი გმირების ხსოვნის უკვლავსაყოფად სტენდე გააკეთეს, ცოცხლად გადაარჩინულეს კი ისეთი ამაღლვებელი შეხვედრა მოუწყეს, რომ ყველა მონაწილეს საშუალოდ დაამახსოვრდა.

პიონერებისა და ჯარისკაცების მეგობრობა მას შემდეგ უფრო განმტკიცდა, როცა საჯარო სიმხედრო-სპორტული თამაში „ზარნიცა“ დაიწყო. პიონერებს ჯარისკაცთა კონკრეტული დახმარება დასჭირდა. მათ ხომ საბრძოლო მოქმედების წესები უნდა შეისწავლათ! აირჩინალები, იარაღის, რაიოსალდგურის გამოყენება და სხვა ბევრი რამ უნდა სცოდნოდით. ამკავშირული ჯარისკაცები: უფროსი სერჟანტები ტროტკოვი, პონინარევი, ბაკატუევი,

ოფიცრები: კოვალი, ბარანოვი, კოროლი პირველი დღეებიდანვე სკოლის ხშირი სტუმრები გახდნენ. მათი დახმარებით ბავშვებმა სამწყობრო სიმღერები ისწავლეს, დახვერვის, შეტევისა და თავდაცვის საქმეებში გაიწავლნენ, „დაპროტოთავის“ პირველი დახმარების აღმოჩენაში დახელოვნდნენ.

და აი, დადგა დღე პიონერთა საბრძოლო ცოდნისა და უნარის გამოკვლევისა. ის იყო რაზმები ქალაქის მოედანზე ჩამწყვიტდნენ, რომ წვიმამ დაუშვა „ვაითუ ჩაგვეშალის დღეებიან ბრძოლა!“ — დღეს დღენი ყველანი.

...„ბრძოლა“ გახალდება თუ არა — ამას დიდები გადასწყვეტენ, მაგრამ ნორჩ მწვრთნელთა ათეულის მეთაური ვოკა პრიონი ერთ ადგილზე ძლიერ ჩერდება, ავტობატის მაკეტი მჭიდროდ მიუტკავს მეკრძღე და შემოფოთებული შეხედვას ხოლმე თავის „დახვერვის“ უფროსს — უფროს სერჟანტ იური ბაკატუევს. ლამის იყვიროს ვოკამ, რომ საფიქრალი არაფერი არ არის, პიონერთა მთელ

რაზმს წვიმა ვერ შეაშინებს და მზად არის, რაღაც არ უნდა დაეცდეს. „მოწინააღმდეგე“ რაზმზე გამარჯვოს. მაგრამ ჯარისკაცის ფორამში გამოწყობილი ვოკა მწყობრში დგას და, წესდებით, ამ დროს ყვირილი არ შეიძლება. მითუმეტეს, ვოკას კარგად ახსოვს, მუდამ მკაცრ დისციპლინას რომ მოითხოვდა ხოლმე უფროსი სერჟანტი, როცა რაზმს ამეცადებდნენ.

როგორც იქნა, დიდებმა, ბოლოს-დაბოლოს, გადაწყვიტეს „ბრძოლა“ დაწყებულიყო. ნორჩ არმიელთა ბატალიონის მეთაურმა, ახალგაზრდა მასწავლებელმა წვეული ხურტიმძე თავის „შტაბის უფროსს“ — უფროს ლეიტენანტ ვიტალი კოროლს კმაყოფილებით უთხრა: „ჩვენებს მწყობრში არწივებებით უჭირავთ თავი, მასასადამე, უკვე ნახვერად გამარჯვებული ვართ“.

წვეულის სიტყვა გამართლდა. მეზობელი სკოლის რაზმთან „ბრძოლაში“ სრული გამარჯვება ჯარისკაცთა ნორჩმა მეგობრებმა სწორედ ორგანიზებულობისა და



# მედიკალი კაბულა

## ჯაჰარ მიჩროვი

გაქვება მხოლოდ გულმაგარ და სამ-  
შობლოს წიაღთან დაკავშირებულ ალა-  
მიან შეუძლია, ისეთი, როგორც ოქრო-  
მეჭიდლის შევირდი მასხარ იყო. ვინ შე-  
ეტოლება სამშობლოს სიყვარულში  
მთელ მესა ობლიძეს. ქართველ კაცს  
ციმირში გადასახლება მიუსაჯეს — მან  
ერთი მუჭა მიწა გამოკრა ხელსახეში  
და თან უნდა წადილოს შორეულ, დაუბ-  
რუნებელ გზაზე, რომ სიკვდილის წინ  
ერთი მუჭა სამშობლოს მიწა დაიყაროს  
მკერდზე. სამშობლოს მიწა ადამიანის  
სიცოცხლის დიდი ნაწილია — დასაყვ-  
ნის მკითხველი, როცა წაიკითხავს მო-  
თხრობას: „მიწა!“

ყოველთვის აღშფოთებულ, თანამედ-  
როვეობის მიზართ ზიზღით აღსავსე შიი  
არაგვისპირელი იმელი არ ეკარგება,  
რომ დასრულდება მშობლიური მიწისა  
და ერის წამება, გაიმარჯვებს ადამიან-  
ობა, კაცთა შორის საინოება და სიყვარ-  
ული. დიდი პოეტები დიდი იმედის  
გამოხატულება იყო!

შიი არაგვისპირელი ზნეობრივად გა-  
საქტაკებულ ლიტერატურულ მემკვიდ-  
რებაზე აღიზარდა. ეს იყო ოლია ჭაგ-  
ჭაყაძისა და აკაკი წერეთლის ლიტერა-  
ტურა. მისი საყვარელი მასწავლებლები  
აყვინდ ვასილ ბარნოვი (რომლის თხუ-  
ლებებში მას ბევრი საინტერესო მხარე  
შეეძლო დაინახა, რასაც შემოქმედებითად  
განავითარებდა) და მოსე ჯანაშვილი  
(საქართველოს ისტორიკოსი). ამიტომ  
წერდა შიი არაგვისპირელი: „...სიეთი  
ადამიანი შემეძრა, რომელმაც მომ-  
ლიურად შემაყვარა სწავლა. ეს მასწავ-  
ლებელი გახლდათ ჯერ ვასილ ბარნოვი,  
შემდეგ მოსე ჯანაშვილი.“

წერალს სიცოცხლის გზა იოლად არ  
გაუღლია. ძნელი იყო იმ ეგვიპტე, უადი-  
მიანი პირობებში წესიერი ცხოვრების  
მოპოვება. მას სხვადასხვა ადგილას უბ-  
დებოდა სამახური ოჯახის შესანახავად.  
იგი ხომ წყნრობით არ ცხოვრობდა,  
ვტყურობით იყავით განათლებად ჰქონდა მი-  
ღებულა ვარგავში. მაგრამ იგი გატა-  
ციებით წერდა ადამიანის სიყვარულით,  
მისი სიბრალულით, მისი არსებობის გა-  
უმჯობესების სურვილით. შიი არაგვის-  
პირელი ჰუმანისტი იყო და ამიტომ  
უფრო მძაფრად ამჩნევდა თავისი ეპოქის  
წინააღმდეგობებით აღსავსე პიროვნე-  
ბას, ადამიანს...

შიი არაგვისპირელი 1926 წელს გარ-  
დაიცვალა. იგი თავის თანამებრძოლებ-  
თან და თანამეკლამეებთან ერთად განი-  
ვენებს დიდუბეში. მისი თხზულებები კი  
მარად უკვდავია.

მასსიეს: ერთხელ, ბავშვობისას, მთვარიანში ვისხდით,  
საუცხოოდ ლეღვივებდა მიწისა და ცის ხედი...  
სიზმარივით ირწუნოდა ზუცს—მარწყვის მინდორი  
და წყდებოდნენ ვარსკვლავები—მომკრონიც და დიდრონიც...  
მთვარის შუქი წყაროსავით გადმოჩქეფდა ბეჭიდან.  
თეთონ მთვარე მარწყვით სავე კალათივით ეკადა..

გვერდით გვეჯდა საყვარელი ბებო და  
წინდას ქსოვდა, თანაც ასე ჰყვივოდა:  
„ყველას, ყველას—თუკი ვისმეს სახელი და გვარი აქვს,  
დიდია თუ პატარაა, კაცია თუ ქალია,—  
ვისაც პირში სული უღვას, ვისაც სისხლი უღვლავს,  
სათითაოდ თავთავისი ვარსკვლავი აქვს სუველას!“

მისევე თვალს ზე გაგვეცა ყმაწვილებს,—  
ვარსკვლავები წაშში დაღინაწილეთ:  
„—ეგე, ხედავთ?—მთვარის მარჯვნივ,—ჩემია!“  
„—აგე, ხედავთ?—მთვარის მარცხენი,—ჩემია!“  
ვიძახოდით: „ჩემია და ჩემია!“  
მაგრამ უცებ შეგვაჩერა ბებოვამ:  
„—არა, ჩემო მალხაზებო, განა მართლა აგრება,—  
ვარსკვლავების ამორჩევა თქვენთვის ჯერ ხომ ადრეა!..  
ვინც სამშობლოს ემსახურა მთელი თვისი სიცოცხლე,  
ვარსკვლავებიც მათ სახელზე ანათებენ, იცოდეთ!..“

ყველას ბედის ვარსკვლავი აქვს—კაცია თუ ქალია,  
მაგრამ... ჩვენი ვარსკვლავები ბავშვობაში მკრთალია...  
ასი წელიც რომ იცოცხლო, თუ ხალხს რამე არ არავი,—  
ბაღში ნერგი სიყვითისა ერთი მაინც არ დარჩე,  
თუ კაცს, როცა საჭიროა, ხელს არ მისცემ მძასავით,—  
მოკვდები და... იმ წამშივე ჩაგჭირება ვარსკვლავიც!

თუ ლაჩრულად არ გჩვევია წუწუნი და ჩივილი,  
თუ სამშობლოს დედად სახაგ—ურთგულზე შეილივით,  
სასახელო საქმით თუ ხარ ბოროტების მირახველი,  
ერთი სიტყვით, ღირსეული კაცის თუ გაქვს სახელი,—  
ახლოხელსაც, შორეულსაც ეცვარები მძასავით,  
ჩაუტრობლად იკაშკაშებს შენი ბედის ვარსკვლავი“.

თარგმან: ნინო ძეგლაძე





**ნათელა ალაღაშვილი.**  
ხელნაწიხთმოდუნების კანდიდატი.

10.663

ანდაკებს საქართველოში უძველესი ტრადიციები აქვს. ხელოვნების ეს დარგი ჩერ კიდევ წინაქრისტიანულ ხანაში იყო განვითარებული, რასაც მოწმობს საქართველოს ბერძნობრივ არქეოლოგიურ გათხრების შედეგად აღმოჩენილი უამრავი მცირე ქანდაკება. ძველმა კულტურულმა ტრადიციებმა დიდი როლი შეასრულა ქართული ქანდაკების შემდგომ განვითარებაში. მაგრამ, ამასთანავე, დარბინილი ფილოსოფიური ხანის ქართული ქანდაკება აღმოსავლეთის ქრისტიანული და არაქრისტიანული ქვეყნების ხელოვნებასთანაც იყო დაკავშირებული. ჩვენმა მოქანდაკებებმა თემა და სიუჟეტი აღმოსავლეთის ქვეყნების ხელოვნებიდან ვაღმოიღეს, მაგრამ შემოქმედებითად გადაამუშავეს ქართული ტრადიციების საფუძველზე.

საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების საუკუნეებშივე რელიგიური რიტუალის შესასრულებლად ცალკეობი იაგეს. მათს დეკორატიულ მორთულობაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა სიუჟეტურმა გამოსახულებებმა. ამას მოწმობს ზუროთომძეურების შესანიშნავი ძეგლის — ბოლნისის სიონის (478-493 წლები) სვეტის თავებსა და ბაზეზზე გამოქანდაკებული ორნამენტული მოტივები, ჩვრები, ფრინველთა და ცხოველთა ფიგურები. ცხოველთა გამოსახულებებს ბოლნისში სიმბოლურ

რი მნიშვნელობა აქვს. ფარშეიანი მკვდრეთით აღდგომის სიმბოლო იყო, ირემი კი — მორწმუნე ადამიანისა. ბოლნისში ძველ წარმართულ ხალხურ რწმენასთან დაცემირებული გამოსახულებები გვხვდება. ასეთია ფანტასტიკური ცხოველის — ფრთოსანი ლომის გამოსახულება, რომლის მხაგრული სახე ფართოდ იყო ცნობილი არაქრისტიანთა ხალხთა ხელოვნებაში. ქრისტიანული რელიგია ითვისებდა წარმართული კულტის ელემენტებს და თავისებურად ამუშავებდა. ამის მაგალითი მაგალითია ბოლნისის სიონში გამოქანდაკებული ხარის თავი, რომლის რქებს შუა ქრისტიანობის ემბლემა — ჯვარია გამოსახული.

V-VI საუკუნეების სხვა ეკლესიების მორთულობაშიც შეინიშნება ფიგურული რელიეფების გამოყენება, მაგალითად: მცხეთის ჯვარი, ატენის სიონი, ამ ეკლესიების გარე კედლებზე თუ ფასადებზე უამრავი ფიგურული რელიეფები გვხვდება.

ამ პერიოდში რელიეფებზე ისტორიულ პირთა გამოსახულებების გამოყვება ფართოდ გავრცელდა. გამოსახავდნენ ფეოდალური წოდების წარმომადგენლებს, ქტიტორებს ე. ი. იმ პირებს, რომელთა ინიციატივითა და სახსრებითაც იყო აგებული ეკლესია.

VIII-X საუკუნეთა განმავლობაში რეალურ ისტორიულ პიროვნებათა გამოსახულებებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქართულ ქანდაკებაში, წმინდა საეკლესიო სიუჟეტების — სამღვთო წერილის პერსონაჟებისა და სცენების გვერდით.

მცხეთის ჯვრის ტაძრის (586-604 წლები) კედლებზე გამოსახული არიან ქართლის ფეოდალური სახელმწიფოს უმჯობესი ხელისუფლების წარმომადგენლები — ქართლის ერისმთავრები. აღმოსავლეთის უფასელი მთავარ რელიეფზე წარმოდგენილია ერისმთავარი სტეფანოს I, რომელსაც პირბრუნ აკურთხებენ. ვეერთი რელიეფების ფიგურები (მაგე რაზის წარმომადგენლები და ანგელოზთა გამოსახულებანი) ცენტრალური კომპოზიციისაკენ არის მიმართული. გუმბათის ეკლესიაში გამოქანდაკებული მუხლმოდრეკილი ფიგურა, ფიქრბენ, ეკლესიის ამშენებელ-არქიტექტორის გამოსახულება უნდა იყოს.

ფიგურებში შედარებით მცხეთის ჯვრის რელიეფის მოქანდაკის დიდი ოსტატობა, თუმცა მათს გადმოცემაში გარკვეულ პირობითობა აღინიშნება, რაც სავსაშუალო დამახასიათებელია შუასაუკუნეების ხელოვნებისათვის. რელიეფები შექმნილი ფიგურათა ფორმები ჩერ კიდევ ერთ გამომსახველ ოსტატის მიერ სკულპტურული ჩანაფიქრის ნაწილებად ამოცნობას.

ქტიტორთა სახეები რეალურად იყო ასახული თმის ეარცხილობით და ტანსაცმლით, რაც წარმოადგენს გვაძლიერებს იმ დროის ტანსაცმლის სახეზე. მის ცალკეულ დეტალებზე.

ძველ ქართულ საეკლესიო-მემორიალური ხასიათის ძეგლებიდან სინტერესოა ქვის სვეტები, რომლებიც ცალკე იდგებიდა. სტელა ოთხწახანა სვეტი იყო, რომელსაც უძველესად მაღალი კებური ფორმის კვარცხლბეკზე აღმართავდნენ. (გვხვდება საფეხურებთან კვარცხლბეკზეც). მტრისა და კვარცხლბეკის ზედაპირზე ამოკვეთილი წარწერები, ჩუქურთმა და სიუჟეტური რელიეფები (ეგლოგიური შინაარსის სკენები და საერთო პირთა გამოსახულებები), სვეტი ჯვრით იყო დავიერგვინებული. აღბათ ამიტომ არის, რომ წარწერებში ეს ძეგლები ყველგან ჯვრად იწოდება. სვეტების გავრცელებას ხანა V-VI საუკუნეებიდან X საუკუნემდე (ჩათვლით) ვრძელდება.

იმ დროის ქართულ ქანდაკებაში სხვადასხვა ხასიათის

საქართველოს  
საზოგადოებრივი  
საზოგადოებრივი  
საზოგადოებრივი



ოშკი (958—966 წ.წ.)  
ვიდრების კომპოზიცია და  
ბაგრატ ერისთავთ-ერისთა-  
ვისა და დავით მაგისტროს-  
ის ფიგურები.

ნამუშევრები გვხვდება. ერთი მხრივ, მცხეთის ჭარის რელიეფები, რომლებიც ანტიკური ხანის ტრადიციების დამუშავების მაგალითია, და მეორე მხრივ, ის რელიეფები, რომლებშიც ფიგურები სიბრტყობრივად არის გადმოცემული. სწორედ ასეთი რელიეფი განვითარდა VIII-IX საუკუნეებში. მაგალითისათვის გამოვავლდება ოპიზის ეკლესიის რელიეფი (IX საუკუნის I მეთხედი). მასზე წარმოდგენილია აშოტ კურაპალატი — ოპიზის ამშენებელი (ზელში ეკლესიის მოღვაწე უქარავეს), რომელსაც ქრისტე აკურთხებს. ეს იმას მოწმობს, რომ ეკლესია ქრისტეს საიდუმლოდ ამშენებულა. ამგვარი შინაარსის სცენები ჩვეულებრივია შუასაუკუნეების ქართულ ქანდაკებაში.

ოპიზის რელიეფი არსებითად ქვაზე ამოჭრილი ნახატია. რელიეფის ზედაპირი ბრტყელია, მისი ნაირბრტყევიყვითარად არის ჩამოკვეთილი ფონისაყენ. ფიგურის მოხაზულობა სქემატურია, ხოლო ფორმები პრიმიტიულად არის აღნიშნული. პირობითია ფიგურის პოზა: თავი და მხრები ფრონტალურად არის ნახევნები, ამასთანავე, მხრები სიბრტყეშია გაშლილი. რელიეფის ზედაპირი პირობითია — ორნამენტული ნახატით არის ვატიცხლებული. მოქანდაკე სხეულის ცალკეული ნაწილების გადიდების ხერხს მიმართავს. მაგალითად, გადიდებულია ქრისტეს მარჯვენა ხელი, რომლითაც იგი ეკლესიის მოღვაწეს აკურთხებს. ამით ყურადღება კონცენტრირებულია აშოტზე, როგორც ეკლესიის ამშენებელზე.

X საუკუნის მანძილზე ქართულ ქანდაკებაში ადამიანის ფიგურის პლასტიკურ-მოცულობითი ფორმებით გამოხატვა თანდათანობით ვითარდება. ირლვევა რელიეფის სიბრტყობრივობა, ცალკეული გამოსახულება მრგვალდება და მოცულობით ფონს უპირისპირდება. მაგალითად, აშოტ კუხის გამოსახულება (ტბეთი), ვალეს და ქორიონის ეკლესიების რელიეფები და სხვ. მათი ფიგურების ტრანშქია, საერთო ხაზებით არის გამოსახული. ფორმები გაუმშავებულია, პოზები კი პირობითია და სტატუარული.

გამოსახულების სკულპტურული ფორმა საგრძნობლად გაუმჯობესდა X-XI საუკუნეთა მიჯნაზე. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ოშკის ტაძრის (958-966)

ციულად არის აგებული, დახვეწილია, დახვეწილია, პლასტიკურად არის გადმოცემული ფიგურის ცალკეული ნაწილები, მაგალითად ხელუბი, რომლებიც მიმარგვალეზულად გამოიყოფა.

ოშკის ტაძარი თავისი დროისათვის მოწინავე ძეგლია. სკულპტურაში გამომდგენებულია ისეთი ფიგურები, რომლებიც საბოლოოდ მხოლოდ XI საუკუნეში გადაიჭრა.

X-XI საუკუნეებში საქართველოში სკულპტურული შემოქმედება სწრაფად ვითარდება. საყურადღებოა ქორიონის ეკლესიის რელიეფები (X სკ), რომელიც გამოქანდაკებული ქრისტიანული ეკლესიის ნაყარხაზვე სიუჟეტებით არ ისახლება და რეალური ცხოვრების მოვლენებსაც ასახავს. რელიეფები გადმოცემულია მშენებლობის პროცესს: ქვის გადატანა ურბით, მარხობა და ზურგით, კირის არევა, ქვის გათლა და სხვ. ფიგურები, მართალია, ტრანში და მოხლებულია, მაგრამ ცოცხლად არის წარმოდგენილი და ეტყობა ოსტატის თვალა.

ადამიანისაში ინტერესის გამოვლენება მარტო სახევის ხელოვნებაში კი არ იყო შესაძლებელი, ცხოვრების ყველა სფეროს მოიცავდა. XI-XIII საუკუნეებში საქართველოში დიდ განვითარებას მიიღწია საერთო მხატვრულმა ლიტერატურამ, რომლის ძირითადი თემა ადამიანია. თავისი ამქვეყნური მისწრაფებითა და გრძნობით.

X-XI საუკუნეთა მიჯნაზე ქართულ არქიტექტურაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შენობის ფასადის დეკორაციულ გაფორმებას, მათს მრავალფეროვანი რუქრითებით შექმებას. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ფიგურულ რელიეფებს.

ნიკორწმინდის ტაძრის (1010-1014 წლები) ფასადების გაფორმება მხატვრულად დასრულებული სისტემაა, რომელშიც ორნამენტული მორთულობა და ფიგურული რელიეფები ორგანულ მთლიანობას ჰქმნის, თუმცა სიუჟეტური რელიეფებისათვის განკუთვნილია ყველაზე უფრო თვალსაჩინო ადგილიც. რელიეფები შინაარსობრივად ერთმანეთს უკავშირდება. ყველა კომპოზიციის მთავარი გამოსახულება ქრისტეს ფიგურაა. განსაკუთრებით გამოყოფილია მეომარ წმინდანთა — წმ. გიორგისა და წმ. თეოდორეს სახეები, რომლებიც აქ ორ ადგილზე

არის გამოსახული. აღმოსავლეთის ფასადზე და დასავლეთის მხრიდან შესასვლელის ზემოთ, ორივეგან გამოირჩევა ქართულ ხელოვნებაში ფართოდ გავრცელებული კომპოზიცია: ერთმანეთის პირისპირ წარმოდგენილი მხედრები. წმ. თევდორე ზემოთ გველშაას ჰემირავს, ხოლო წმ. გიორგი — ურჯულე მეფე დიოკლეტიანეს. მეომარ წინადათა თავყაფის ცხმა ძალზე ვაერცლებულ იყო საქართველოში. როგორც ცნობილია, წმ. გიორგიმ ქრისტიანობის ხანაში ძველი ქართული წარმართული პანთეონის უზენაესი ღვთაების — მთარის ღვთაების აღდგომა დაიკავა.

ნიკორწმინდის ტაძრის რელიეფები სხვადასხვა ოსტატებმა შექმნეს. ფასადების ზემოთ მდებარე რელიეფების მოქანდაკე ძველი თაობის წარმომადგენელია. ამ რელიეფებს ახასიათებს: ფიგურათა დისპროპორცია, ვესტები ექსპრესიულობა და ზედამიზნის პირობითი ორნამენტული დამუშავება. შესასვლელთა ზემოთ მოთავსებული კომპოზიციები კი მოწინავე ოსტატების მიერ არის შესრულებული. ამ რელიეფებში თვალს ჩაუვლავ მოძრაობის ცოცხალი გადმოცემა, პოზთა მრავალფეროვნება. ტრისამოსის ნაოებების ნახატი მოძრაობას გამოკეთავს.

ერთ ძეგლზე განსხვავებული რელიეფების შეთავსება ქანდაკების განვითარების პროცესის მაჩვენებელია. ახალ მოწინააღმდეგე გვერდით ჭერ კიდევ ვაგვდება განვლილ ეტაპის ემეგნებელი.

